

კულტურა როგორც ცოდნის ეკონომიკის ფორმირების ფაქტორი პარადიგმული ცვლილებების სისტემურინსტიტუციური კონტექსტი¹

გივი ბედიაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ევროპის უნივერსიტეტი,
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველო
g.bedianashvili@eu.edu.ge

საკვანძო სიტყვები: ცოდნის ეკონომიკის ფორმირება, კულტურა როგორც ფაქტორი, ეკონომიკური მენეჯერების პარადიგმული ასპექტები

თანამედროვე პირობებში მნიშვნელოვანია კულტურის, როგორც ცოდნის ეკონომიკის ფორმირების ფაქტორის სისტემურ-ინსტიტუციური კონცეფციის შემუშავება. ცოდნის ეკონომიკის ფორმირების პროცესში თვით ცოდნის და კულტურის სისტემური სურათის წარმოდგენისთვის, ვფიქრობთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური მეცნიერების პარადიგმული, კონცეფტუალური ასპექტების ახლებურ გააზრებას. ამასთან ერთად განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გვესახება თვით შემეცნების პროცესის სისტემური წარმოდგენა. როგორც გვიჩვენებს ბოლო წლების პრაქტიკა, შემეცნების ტექნოლოგიის ფორმატში დევს ის ძირითადი პრობლემები, რომელთა გადაჭრაც ხელს შეუწყობს ეკონომიკური მეცნიერების „შემეცნებითი“ ფუნქციის გაუმჯობესებას, მისი პრაქტიკული სარგებლიანობის ამაღლებას.

გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპი ხასიათდება პოსტ-ინდუსტრიული განვითარების რიგი სპეციფიკური თავისებურებებით, რომელთაგან, ჩვენი აზრით, უმნიშვნელოვანესია ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის (ცოდნის ეკონომიკის) ფორმირების აქტუალიზაცია. აღსანიშნავია, რომ გლობალიზაცია განაპირობებს ცოდნის ეკონომიკისთვის ისეთი გლობალური რაკურსის მქონე განზომილებების დამატებას, როგორცაა, მაგალითად, რესურსულ-ტექნოლოგიური, ინფორმაციული, კომუნიკაციური და ინსტიტუციური სტრუქტურები. ამასთან ერთად, აუცილებელად მიგვაჩნია ცოდნის ეკონომიკის ცოდნის საზოგადოებასთან მიმართებაში გააზრება. ეს შესაძლებელს ხდის ცოდნასთან ერთად კულტურაც წარმოდგეს როგორც თვით ცოდნის ეკონომიკის ფორმირების ფაქტორი.

პოსტინდუსტრიული თეორიის შესაბამისად, პოსტ-ინდუსტრიული ეკონომიკის ძირითადი რესურსი არის ინფორმაცია და ცოდნა, საწარმოო საქმიანობის ძირითადი ტიპია წარმოების მაღალი დონის ავტომატიზაცია, ძირითადი ტექნოლოგიებიდან უპირატესად გამოიყენება მეცნიერებატევადი ტექნოლოგიები, ხოლო ეკონომიკური საქ-

მიანობის ტიპებიდან ყველაზე გავრცელებული ხდება სხვადასხვა მომსახურება. თუ ინდუსტრიამდელ საზოგადოებაში განმსაზღვრელი იყო სოფლის მეურნეობის სფერო, ინდუსტრიულ საზოგადოებაში – მრეწველობა, პოსტინდუსტრიულში – დეტერმინანტი ხდება უკვე თეორიული ცოდნა უნივერსიტეტებით, მისი, როგორც ცოდნის აქტიური გენერირების, თავმოყრის და ათვისების ადგილით.

როგორც ცნობილია, პარადიგმის ცნება შემოიტანა ამერიკელმა მეცნიერმა თომას ქუნმა, რომელიც იკვლევდა ზოგადად სამეცნიერო დისციპლინების განვითარების ეტაპებს. თავისთავად, სიტყვა „პარადიგმა“ ბერძნული წარმოშობისაა (ბერძნ. – παραδείγμα paradeigma) და აღნიშნავს მაგალითს, მოდელს, ნიმუშს, აზროვნების კონცეფციების და შაბლონების ერთობრიობას, კვლევის თეორიებისა და მეთოდების ჩართვით. პარადიგმა, თომას ქუნის მიერ, განისაზღვრება, როგორც ყველას მიერ აღიარებული მიღწევები, რომელიც დროის გარკვეულ პერიოდში იძლევიან სამეცნიერო საზოგადოებისათვის პრობლემის დასმისა და მისი გადაჭრის ნიმუშს (Kuhn, 1962). პარადიგმა არის საქმიანობის განსაზღვრულ სფეროში სამეცნიერო კვლევის ფორმა (კონცეფცია, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კვლევის მეთოდების ჩათვლით), მიზანმიმართულება, ობიექტური საფუძველი. იმისდა მიხედვით, თუ რომელი პარადიგმით ხელმძღვანელობს მკვლევარი, ბუნებრივია, განისაზღვრება პრობლემის გადაჭრის დონე და მისი სიახლე.

თ. ქუნი გამოყოფდა მეცნიერების განვითარებაში რამოდენიმე განსხვავებულ ეტაპს: 1) წინაპარადიგმული (პარადიგმის დადგენის წინა პერიოდი); 2) პარადიგმის „ბატონობის“ ეტაპი („ნორმალური მეცნიერება“) და 3) კრიზისის და სამეცნიერო რევოლუციის ეტაპი (პარადიგმის ცვლილების ეტაპი). მეცნიერების კრიზისის და პარადიგმების ცვლილების ეტაპს ავტორი განიხილავს როგორც სიტუაციას, როდესაც წარმოიშობა მეცნიერებაში ე. წ. ანომალიები – ჩნდება ფაქტები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდიან მიმდინარე ეტაპზე არსებულ პარადიგმასთან. ამ დროს პარადიგმა კარგავს თავის მნიშვნელობას და წარმოქმნილი ანომალიების ასახსნელად წარმოიშობა ახალი თეორია,

¹ კვლევის შედეგები მოსმენილი იქნა | ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციაზე „ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი და ახალი პარადიგმების ძიება“

რომლის საფუძველზე შედგომში რეველოციის შედეგად იქმნება ახალი პარადიგმა.

მეცნიერების განვითარების პარადიგმული კონცეფციისაგან განსხვავებული ხედვა აქვს კარლ პოპერს, რომელიც სამეცნიერო დებულებების დადასტურების და ვერიფიკაციის ტრადიციული ემპირიული პრინციპის წინააღმდეგია. კ. პოპერის აზრის თანახმად მეცნიერება უნდა განიხილებოდეს არა როგორც უცვლელი „ცოდნის კორპუსი“, არამედ როგორც ჰიპოთეზებისა და დაშვებების სისტემა, რომლებითაც ჩვენ შეგვიძლია სარგებლობა მანამდე, სანამ ის უძლებს გასინჯვას და შემოწმებას (Popper, 1980).

საინტერესოა ასევე იმრე ლაკატოსის კონცეფცია, რომლის თანახმადაც მეცნიერება არის და უნდა იყოს კვლევითი პროგრამების შეჯიბრი (სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ქვეშ ავტორს ესმოდა ფუნდამენტური იდეებსა და მეთოდოლოგიურ პრინციპებზე დაფუძნებული თეორია). ავტორის აზრით, მეცნიერების განვითარების წყაროა არა შესაბამისი მეცნიერული თეორიებისა და ემპირიული მონაცემების ურთიერთმოქმედება, არამედ სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების კონკურენცია. სწორედ კონკურენცია იძლევა საშუალებას უფრო ზუსტად აღიწეროს და აიხსნას მოვლენები, რაც მთავარია – მოხდეს ფაქტების წინასწარმეტყველება (Lakatos, 1970).

ცოდნის მიღების და მეცნიერების, როგორც ფენომენის განხილვისას, ვფიქრობთ, აქტუალურია ინტერდისციპლინური ხედვის საფუძველზე სისტემური კონცეფციის ფორმირება. ამ მიმართებით, საჭიროა გამოიყოს კონსტრუქტივიზმის პარადიგმა. კონსტრუქტივიზმის ცნება დღეს საკმაოდ ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა მეცნიერებაში, მაგალითად, ფილოსოფიაში, სოციოლოგიაში, ფსიქოლოგიაში, ასევე ეკონომიკაში (იხ.: ლეიაშვილი, 2017; Gergen, 1994; Gra-zelfeld, 1995; Глазерсфельд, 2000; Джерджен, 2003; Келли, 2000; Abdelal et al., 2009; Abdelal, 2009; Kon-ings, 2015; Patnem, 1981; Popkov, 2017; Raskin, 2002; Varela et al., 1993; Матурана и др., 2001; Петренко, 2002; Пиаже, 2004; Улановский, 2004; Ферстер, 2000; Цоколов, 2000). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რადიკალური კონსტრუქტივიზმი კომუნიკაციის, თვით-ორგანიზაციის და სამყაროს მოდულების აგების თვალ-საზრისით. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ რადი-კალური კონსტრუქტივიზმის მომხრეები აქტიურად იყენებენ ისეთი მეცნიერებებისა და დისციპლინების დებულებებს, როგორცაა ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია, ნეირობიო-ლოგია, კომუნიკაცია, სისტემების თეორია, კიბერნეტიკა და ეკონომიკური კიბერნეტიკა (აქ იგულისხმება ისეთი ცნებები, როგორცაა სისტემა, მართვა, უკუკავშირი, ინფორმაცია, „შავი ყუთი“, ემერჯენტულობა, ჰომეოსტაზი, სირთულის ზომა, მდგრადობა, თვითრეგულირება, აუცილებელი ნაირსახეობადა სხვ.- იხ.: Wiener, 1948; ვინერი, 1961;

Ланге, 1968; Кобринский и др., 1982). რადიკალური კონსტრუქტივიზმის აზრით შეუძლებელია ცოდნის მიღება გარედან, სინამდვილის ასახვა, გადატანა, რაც განპირობებულია ცოცხალი ორგანიზმების ინფორმაციული ჩაკეტილობით და იმით, რომ ცოცხალ ორგანიზმებს არ შეუძლიათ გავიდნენ მათივე მიერ შექმნილი წარმოსახვითი რეალურობის საზღვრებს გარეთ. აქ საინტერესოდ მიგვაჩნია დებულება იმის შესახებ, რომ ჩვენი ცოდნა მნიშვნელოვანწილად ასახავს ჩვენი ორგანიზმის (ნერვული სისტემის, ტვინის და ენის სტრუქტურულ და ფუნქციონალურ სპეციფიკას, გარემოსთან მათი ურთიერთობის კონტექსტის გათვალისწინებით – იხ., მაგალითად: Улановский, 2004). მთავარი პოსტულატი რადიკალური კონსტრუქტივიზმისთვის ისაა, რომ ცოდნა არის არა ობიექტური სინამდვილის სურათი (ასახვა), არამედ, ცხოვრების პროცესში საკუთარი გამოცდილების შეთანხმებისა და ორგანიზაციის გარკვეული წესი. აქედან გამომდინარე, თითქოს ჩვეულებრივი, ბუნებრივი პოსტულატის „სინამდვილესთან შესაბამისობის“ ცნების მაგივრად, რადიკალური კონსტრუქტივიზმის ფარგლებში შემოთავაზებულია ისეთი ცნება, როგორცაა ცოდნის და თეორიის ის „გამოსადგობა“ და „სიცოცხლისუნარიანობა“ რეალური კოგნიტური სისტემების ფუნქციონირების მიმართ (Глазерсфельд, 2000).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რადიკალურ კონსტრუქტი-ვიზმში რიგი საკვანძო ცნებები მთლიანად აღებულია (დასესხებულია) კიბერნეტიკიდან ან ეკონომიკური კიბერნეტიკიდან, მათ შორის ცნობილი წრიული მიზნობრიობის, ინფორმაციული ჩაკეტილობის და თვითრეგულაციულობის ცნებები (Foer-ster, 2003), ასევე კარგად ცნობილი აუტოპოზების ცნება, რომელიც ასახავს ცოცხალი სისტემების უნარს ავტონომიურად შეინარჩუნონ მთლიანობითობის თვისება (Maturana, et al., 1998; Матурана, 1996; Матурана и др., 2001). აღსანიშნავია, რომ სწორედ უ. მატურანა და ფ. ვერელა გვთავაზობენ შემეცნების ნეირობიოლოგიურ კონცეფციას.

ეკონომიკურ კიბერნეტიკასთან მიმართებაში შეიძლება განხილულ იქნეს მისი განვითარების ეტაპები ანალოგიურად კლასიკური (პირველი რიგის), მეორე და მესამე რიგის კიბერნეტიკისა (Foerster, 1995; Glanville, 2008, 2011). აქ შეიძლება აღინიშნოს, რომ სწორედ შემეცნების და სამეცნიერო რაციონალურობის კონცეფციების განვითარების კვლობაზე ხდებოდა ეკონომიკური კიბერნეტიკის პარადიგმების ცვლილებაც. თუ კლასიკურ მეცნიერებას, კლასიკურ სამეც-ნიერო რაციონალურობას (ყურადღება კონცენტრირებულია კვლევის ობიექტზე სქემაში „ობიექტი-სუბიექტი“) შეესაბამება პირველი რიგის ეკონომიკურ კიბერნეტიკას, არაკლასი-კური მეცნიერების შესაბამისია მეორე რიგის ეკონომიკური კიბერნეტიკა (როდესაც ყურადღება მიმართულია კვლე-ვის სუბიექტზე), ხოლო პოსტარაკლასიკური მეცნიერების შესაბამისი ხდება მესამე რიგის ეკონომიკური კიბერნეტიკა. ამ ეტაპზე შემოდის ახალი პარადიგმა, როგორცაა „სუბიექტი-

თვითგანვითარებადი პოლისუბიექტური გარემო“, როდესაც ყურადღება გამახვილებულია აქტიურ პოლისუბიექტურ გარემოზე, რომელშიც ფუნქციონირებს და ვითარდება სუბიექტი (იხ., მაგალითად: Лепский, 2015).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ რადიკალური კონსტრუქტივიზმის საფუძველია ის, რომ იგი ცოდნას ანიჭებს სუბიექტური კონსტრუქტის ხასიათს, უარყოფს რა შემეცნების პროცესში ობიექტური სამყაროს ასახვის ან გამოსახვის შესაძლებლობებს. ამასთან ერთად, გამოკვეთილად აღინიშნება, რომ სამყაროს კონსტრუირების პროცესი ხდება ადამიანებში უნებლიედ და გაუცნობიერებლად, რის გამოც ეს პროცესი ჯერ არ გამხდარა სოციალური და შემეცნებითი ყურადღების ობიექტი. სუბიექტის გარეშე არსებული რეალობა აქ განიხილება მხოლოდ როგორც გარე სამყაროს ობიექტების შესახებ რწმენის პროდუქტი. სინამდვილეში კი, რადიკალური კონსტრუქტივისტების კონცეფციის თანახმად, ერთადერთი რეალობაა ერთეულოვანი ორგანიზმის ინდუვიდუალური ცნობიერება (Glaserfeld, 1995).


საინტერესოდ მიგვაჩნია უ. მატურანას და ფ. ვარელას კონცეფტუალური დასკვნა იმის თაობაზე, რომ ადამიანების მიერ სამყაროს შემეცნებით გამოსახულებაში საერთო განპირობებულია მათი ბიოლოგიური ფესვების ერთიანობით, ხოლო სხვა ყოველივე განსხვავებული გამოწვეულია **კულტურით** (Матурана и др., 2001). ამ განსხვავებულის გამოკვეთა, სტრუქტურბაცია და მისი სისტემური ბუნების დადგენა, ვფიქრობთ, აქტუალურია ცოდნის ეკონომიკისა და ზოგადად ცოდნის საზოგადოების ფორმირების თანამედროვე პირობებში. უფრო მეტიც, საგულისხმოა, რომ პარადიგმა, როგორც რეალობის აღქმის და გააზრების ძირითადი საშუა-

ლება (მოდელი, კონცეფცია), გადაეცემა შემდგომ თაობებს სწორედ კულტურის მეშვეობით.

მართლაც, მეცნიერული ცოდნის მიღების პროცესში კულტურას აქვს დიდი მნიშვნელობა, მაგალითად, კონკრეტულ სიტუაციაში ინფორმაციის მიღებისა და გამოყენების კონტექსტში (ბედიანაშვილი, 2018). ა. ნეგანდჰიმ და ს. პრასადმა გამახვილეს ყურადღება ეკონომიკის ქვედა რგოლის - საწარმოს მმართველობით ფილოსოფიაზე (პარადიგმაზე), რომელიც გამომჟღავნდება განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში მომუშავეებთან, მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან, აქციონერებთან, ხელისუფლების და მუნიციპალურ ორგანოებთან (Negandhi, et al, 1971; ბარათაშვილი, და სხვ., 2016; ბედიანაშვილი, 2018). მათ მოდელში (ნახ. 1) უშუალოდ მმართველობითი ფილოსოფია, როგორც ფაქტორი, გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს ფირმის ქცევაზე. ემპირიულმა გამოკვლევებმა და პრაქტიკამ აჩვენა ხელმძღვანელობის სტილის ფორმირებაში ინსტიტუციური და კულტურული ფაქტორების ზეგავლენის დიდი როლი. ხელმძღვანელობის სტილის მიხედვით ეროვნულ განსხვავებულობათა თვალსაზრისით ისეთი პარადიგმული ფაქტორები, როგორიცაა: ფასეულობები, ამა თუ იმ მოთხოვნილებების ინტენსიურობები, სამყაროს აღქმის სურათი, შემეცნების პროცესის თავისებურებები, რისკის ასახვა, მენეჯმენტის ფორმირების გზები, პიროვნებათშორისი ურთიერთობების ხელოვნება შესამჩნევად განსხვავდება ქვეყნების მიხედვით.

მეცნიერთა და სპეციალისტთა დიდი ნაწილი ამ მიმართებით საკვებით საფუძვლიანად აღნიშნავს პარადიგმების დიდ როლს. ლიტერატურაში გამოყოფილია ორი არსობრივად განსხვავებული ტიპის პარადიგმა - უნივერსალური

ნახ.1. ნეგანდჰი-პრასადის მოდელი (Negandhi, et al, 1971)



მიზმობრივი და ურთიერთმეგავლენობრივი (იხ., მაგალითად, Maruyama, 1974).

პარადიგმის პირველი ტიპი დამახასიათებელია დასავლეთის კულტურებისთვის, ხოლო მეორე – აღმოსავლეთის კულტურებისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც განმასხვავებელი ნიშანი, აღმოსავლეთის კულტურებში მკაფიოდ შეინიშნება ცნებების ნაკლები დიფერენციაცია (ნახ. 2).

განსახლეველი პრობლემატიკის ფარგლებში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია თვით კვლევის ობიექტის საზღვრების დაზუსტება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და თანამედროვე გლობალიზაციის და კვლევების ინტეგრაციული ტენდენციების გათვალისწინებით, უდავოდ უფრო აქტუალური ხდება კვლევის ეკონომიკური ობიექტიდან სოციალურ-ეკონომიკურ ობიექტზე ეკონომიკური მეცნიერების კვლევების კონცენტრაცია, შესაბამისი პარადიგმული ასპექტების გაფართოებით (Bedianashvili, 1995). რეალურმა პრაქტიკამ, მაგალითად, სამეწარმეო საქმიანობის შესახებ წარმოდგენების ისტორიული განვითარების განხილვისას (Bedianashvili, 2018) მკაფიოდ აჩვენა ეკონომიკური ობიექტიდან სოციალურ-ეკონომიკურ ობიექტზე პარადიგმული გადასვლის დიდი მნიშვნელობა.


ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის როგორც კვლევისა, რეგულირების და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა აქვს საქმიანი კულტურის მახვენებლების, ასევე ფასეულობების სისტემატურ მონიტორინგს, მათი როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ თავისებურებათა გამოვლენას, შეფასებას, გათვალისწინებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში რეგულირებას და საზოგადოებისათვის მისაღები ფორმებით მიზანმიმართულ კორექტირებას (ტრანსფორმაციას) შესაბამისი ინსტიტუციური ცვლილებების და სისტემური ინსტიტუციონალიზაციის გათვალისწინებით.

კულტურის როგორც ფაქტორის განხილვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს უშუალოდ საქმიანი კულტურის (როგორც არაფორმალური ინსტიტუტის) სრულყოფა. გამოკვლევები ადასტურებენ (Hofstede, 2004; ბედია-ნაშვილი, 2014; Didero et al., 2008; Beugelsdijk, 2007; Furman et al., 2002; Geertz, 1973; Herbig and Srholec, 1998; Inglehart and Welzel, 2005; James, 2005; Von Hippel, 2005; Acs, 2006; Barnett, 1953; Beugelsdijk et al., 2014; Brons, 2006; Dickson et al., 2003; Didero et al., 2008; Edler and Fagerberg, 2017; Differences in Inno-

| სფეროები | პარადიგმები უნივერსალური მიზმობრივობით | პარადიგმები ურთიერთმეგავლენობრივი არსით |
|---------------------------------|--|---|
| მეცნიერება | ტრადიციული მიზმ-შედეგობრივი მოდელი | ინფორმაციის კ. შენონის შემდგომი თეორია (უ. ეშბის თეორია) |
| კოსმოლოგია | წინასწარ განსაზღვრული უნივერსუმი | თვითგენერირებადი და თვითორგანიზებადი უნივერსუმი |
| იდეოლოგია | ავტორიტარული | კოლპერატიული |
| ფილოსოფია | უნივერსალური | ქსელური |
| ეთიკა | კონკურენტული | სიმბიოტური |
| რელიგია | მონოთეიზმი | პოლითეიზმი, პარმონიული |
| გადაწყვეტილების მიღების პროცესი | ერთპიროვნული, უმრავლესობის ან კონსენსუსის წესით | ინდივიდზე ზეწოლის მოხსნა |
| ლოგიკა | აქსიომატური, დედუქტიური | შემავსებელი (კომპლიმენტალური) |
| აღქმა | აბსტრაქტული კატეგორიებით | კონკრეტული |
| ცოდნა | ერთადერთი ჭეშმარიტების არსებობა – თუ ადამიანებს მივაწვდით ინფორმაციას, ისინი დათანხმდებიან | მრავალმნიშვნელოვანი, შესწავლია და მისაღებია მხედველობაში სხვადასხვა თვალსაზრისი |
| ანალიზი | გამოიყენება კატეგორიების ერთი წინასწარ მოცემული ნაკრები ყველა სიტუაციაში | გამოიყენება კატეგორიების ცვალებადი ნაკრები, დამოკიდებული სიტუაციაზე |

ნახ. 2. უნივერსალური მიზმობრივი და ურთიერთმეგავლენობრივი პარადიგმების მახასიათებლები

vation Culture Across Europe, 2008), რომ კულტურულ ფაქტორს აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა ინოვაციური საქმიანობის ჯეროვანი განვითარებისთვის. ცვლილებები, რაც საჭიროა განხორციელდეს კულტურულ ფასეულობათა ტრანსფორმაციისთვის (საქართველოს შემთხვევაში), ესაა გრძელვადიანი ორიენტაციის გაძლიერება, ძალაუფლებრივი დისტანციის შემცირება და ინდივიდუალიზმის თვისებების განვითარება (Bedianashvili, 2016). საქმიანი კულტურის მოდერნიზაცია ბუნებრივია, მოითხოვს ქვეყნის ეკონომიკური (სოციალურ-ეკონომიკური) პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციის პარადიგმის გარდაქმნას და მის მორგებას ცოდნის ეკონომიკის ფორმირების მოთხოვნებზე ცოდნის საზოგადოების მშენებლობის კონტექსტით (ნახ. 3).



ნახ. 3. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფაქტორები (IN-ინსტიტუტები; CL-კულტურა; TH-ტექნოლოგიური ცვლილებები; GL-გლობალიზაცია; EP-ეკონომიკური პოლიტიკა: Allen, 2011; Bedianashvili, 2018)

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი, ე., ბარანდია, ჯ., მარიდაშვილი, მ., ჩეხელაშვილი, მ., მახარაშვილი, ი., ლამბაშიძე, თ. (2016). შედარებითი მენეჯმენტი და კლასტერიზაცია. თბილისი.
2. ბედიანაშვილი, გ. (2014). კულტურა როგორც ინსტიტუტი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და საერთაშორისო ბიზნესის კონტექსტში. ჟურნალი „ეკონომისტი“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, №6, თბილისი.
3. ბედიანაშვილი, გ. (2017). ცოდნის ეკონომიკის ფორმირება და ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკა: ინსტიტუციური ასპექტი. ჟურნალი: „გლობალიზაცია და ბიზნესი“, №36, გვ.10-16.
4. ბედიანაშვილი, გ. (2018). კროს-კულტურული ურთიერთობები საერთაშორისო ბიზნესში. თბილისი.
5. ვინერი, ნ. (1961). კიბენეტიკა და საზოგადოება, თბილისი.
6. ლეიაშვილი, პ. (2017). ეკონომიკური მოღვაწეობა: სისტემური ანალიზი. თბილისი: „სიახლე“.
7. ჰასიდი, ჯ., კომსელი, ა., გველესიანი, რ., მექვაბიშვილი, ე., გაგნიძე, ი., ლეკაშვილი, ე., ნაცვალაძე, მ., (2009). მეწარმეობის თეორიულსაფუძვლები. თბილისი.
8. Abdelal R., Blyth M., Parsons G. (2009). Constructivist Political Economy.
9. Abdelal, R. (2009). Constructivism as an Approach to International Political Economy. In *Handbook of International Political Economy*, pp. 57–71.
10. Acs, Z. J., Audretsch, D. B., Braunerhjelm, P. and Carlsson, B., (2005). The Knowledge Spillover Theory of Entrepreneurship, Discussion Papers on Entrepreneurship, Growth and Public Policy, Group Entrepreneurship, Growth and Public Policy, Jena, Germany: Max Planck Institute of Economics.
11. Acs, Z. J., Szerb, L., Lloyd, A., (2018). *Global Entrepreneurship Index*. Washington, GEDI.
12. Acs, Z.J., (2006). How is Entrepreneurship Good for Economic Growth?, *Innovations: Technology, Governance, Globalization* 1(1), pp. 97-107.
13. Åsgeirsdóttir, B., (2006). OECD work on knowledge and the knowledge economy. In Brian, K., and Dominique, F. (Eds.), *Advancing knowledge and the knowledge Economy*. Cambridge: The MIT press, pp.17-23.
14. Augier, M., and Teece, D.J. (2007). Perspectives on research and development. Organizing and Managing innovation in a (Global) knowledge-based economy. In Ichijo, K., and Nonaka, I. (Eds.), *Knowledge creation and management. New Challenges for managers*. Oxford: Oxford University Press, pp. 198-212.
15. Barnett, H.G. (1953). *Innovation: The basis of cultural change*. New York: Mc Graw Hill.
16. Baumol W. J. (1990). Entrepreneurship: Productive, Unproductive and Destructive // *Journal of Political Economy*. Vol. 98. №5. Pt.1, pp. 893-920.
17. Bedianashvili, G. (1995). State, Power Structure and Socio-Economic Reform of Society. Tbilisi, Mecniereba.
18. Bedianashvili, G. (2018). Knowledge Economy, Entrepreneurial Activity and Culture Factor in Modern Conditions of Globalization: Challenges for Georgia. *Journal: Globalization and Business*, no 5, pp.32-37..

19. Beugelsdijk, S. (2007). 'Entrepreneurial culture, regional innovativeness and economic growth', *Journal of Evolutionary Economics*, 17(1): pp.187-210.
20. Beugelsdijk, S., Slangen, A., Maseland, R., & Onrust, M. (2014). The impact of home–host cultural distance on foreign affiliate sales: The moderating role of cultural variation within host countries. *Journal of Business Research*, 67(8), pp.1638-1646.
21. Brons, L. (2006). Indirect measurement of regional culture in the Netherlands, *Tijdschrift voor Economische en Sociale Geografie*, 97(5): pp.547-566.
22. Constructivism in Theory Knowledge (2008). M., RAS Institute of Philosophy (In Russian).
23. Dahlstrand, Å. L. and Stevenson, L., (2010). Innovative Entrepreneurship Policy: Linking Innovation and Entrepreneurship in a European Context. *Annals of Innovation & Entrepreneurship*, vol.1. Retrieved 08. 09. 2012, from http://www.innovation-andentrepreneurship.net/index.php/aie/article/view/5602/html_34.
24. Dickson, M. W., Den Hartog, D. N., & Mitchelson, J. K. (2003). Research on leadership in a cross-cultural context: Making progress, and raising new questions. *The leadership quarterly*, 14(6), pp.729-768.
25. Didero, M., Gareis, K., Marques, P., & Ratzke, M. (2008). Differences in innovation culture across Europe. *Transformative Use of ICT in EU Regions*. Transform, Germany.
26. Didero, M., Gareis, K., Marques, P., Ratzke, M. et al. (2008). Differences in Innovation Culture across Europe, Discussion paper, TRANSFORM project report, URL: [http://www.transformeu.org/publications/documents/Differences in Innovation Culture.pdf](http://www.transformeu.org/publications/documents/Differences%20in%20Innovation%20Culture.pdf) (retrieved 10. 7. 2008).
27. *Differences in Innovation Culture Across Europe* (2008).
28. Edler J.,Fagerberg, J. (2017).-Innovation policy: what, why, and how. *Oxford Review of Economic Policy*. Volume 33, Number 1, pp. pp.2–23.
29. Erqomaishvili G., (2016). Small Entrepreneurship Supporting Policy in Georgia. *World Academy of Science, Engineering and Technology International Journal of Economics and Management Engineering* Vol: 10, No: 5, pp.1409-1412.
30. European Innovation Scoreboard 2008. Comparative Analysis of Innovation Performance (2009), *Pro Inno Europe paper* No 10, <http://www.proinno-europe.eu/publications> (retrieved, June 2010).
31. European Union EU.(2012). The Innovation Union Scoreboard. Research and Innovation Union scoreboard, Retrieved 07. 20. 2012, from <http://www.proinno-europe.eu/metrics>
32. Fagerberg, J. and Srholec, M., (2008). National Innovation Systems, Capabilities and Economic Development, *Research Policy* 37/9, pp.1417-1435.
33. Fagerberg, J., Feldman, M., Shorlec, M., (2011). Technological Dynamics and Social Capability: Comparing U.S. States and European Nations, CIRCLE Paper no 11/2011, Lund University.
34. Foerster H. (2003). *Understanding understanding: essays on cybernetics and cognition*.
35. Foerster, H. (1995). *The Cybernetics of Cybernetics* (2nd edition).
36. Foray, D., (2006). *The economics of knowledge*. Cambridge: The MIT Press.
37. Furman, J. L., Porter, M. E., Stern, S. (2002), TheDeterminants of National Innovative Capacity. *Research Policy*, 31 (6): 899-933. doi:10.1016/ S0048-7333 (01)00152-4
38. Geertz, C. (1973). *The Interpretation of Cultures*. New York, Basic Books.
39. Glanville, R. (2008).Second Order Cybernetics. *Systems Science and Cybernetics*.
40. Glanville, R. (2011). Introduction: A conference doing the cybernetics of cybernetics. *Kybernetes*, 40(7/8): 952–963.
41. Glaserfeld, E., (1995). *Radical Constructivism: A Way of knowing and learning*.
42. Gvelesiani R., (2015). Intrinsic Contradictions of Entrepreneurship Development and Self-development. *World Academy of Science, Engineering and Technology International Journal of Economics and Management Engineering* Vol: 9, No: 3, pp. 1007-1010.
43. Hadad, S., (2017). Knowledge Economy: Characteristics and Dimensions. *Journal: Management Dynamics in the Knowledge Economy* Vol.5, no.2, pp.203-225.
44. Hofstede, G et al. (2004) 'Culture's role in entrepreneurship: self-employment out of dissatisfaction', in: Brown, T and Ulijn, J. (eds.) 'Innovation, Entrepreneurship and Culture. The interaction between Technology, Progress and Economic Growth', Cheltenham, Massachusetts: Edward Elgar Publishing, pp. 162-203.
45. Hofstede, G. (2011). Dimensionalizing Cultures: The Hofstede Model in Context. *Online Readings in Psychology and Culture*, 2(1). <https://doi.org/10.9707/2307-0919.1014>.
46. <http://ppesydney.net/what-is-constructivism-for/>

47. https://www.researchgate.net/publication/265158222_Constructivist_Political_Economy
48. Inglehart, R. and Welzel, C. (2005) 'Modernization, Cultural Change, and Democracy: The Human Development Sequence', Cambridge, MA, et al.: Cambridge University Press.
49. Konings M. (2015). What is Constructivism For? - Progress in Political Economy (PPE).
50. Kuhn T. (1962). *The Structure of Scientific Revolutions*.
51. Lakatos I. (1970). *Falsification and the Methodology of Scientific Research Programmes*.
52. Leishvily P. (2017). *Economic Activity: System Analysis*. Tbilisi: Sialxle (In Georgian).
53. Lopez-Leyva, S., Mungaray-Moctezuma A-B., (2017). Knowledge-Based Economy as a Foundation for the Economic Development of Countries. *Journal: Management Dynamics in the Knowledge Economy Vol.5 no.4*, pp.481-501.
54. Maruyama M. *Paradigmatology and Its Application to Cross Disciplinary, Cross Professional and Cross cultural Communication*. *Dialectica* 28 No 3-4.1974.P.135-196.
55. Maturana, H., Varela, F. (1998). *The Tree of Knowledge (revised edition)*. Shambhala Press, Boston.
56. Negandhi A. R., Prasad S.B. (1971). *Comparative Management*. N. Y.
57. Papava V. (2017). Retroeconomics – Moving from Dying to Brisk Economy. *Journal of Reviews on Global Economics*, 6, 455-462. <http://www.lifescienceglobal.com/home/cart?view=product&id=2567>
58. Papava V. (2018). Catching up and Falling Behind: the Experience of the Post-Communist Countries of the European Union and Georgia. GFSIS Expert Opinion, No. 70, Tbilisi. GFSIS. http://papava.info/publications/Papava_Catching-Up-or-Falling-Behind_Eng.pdf
59. Papava V., (2016). Technological Backwardness- Global Reality and Expected Challenges for the World's Economy. No. 70. Tbilisi, GFSIS, 2016 (Geo).
60. Papava V., (2017). Retroeconomics – a Theory of the Technological Backwardness of Economy. *Nowe ścieżki rozwoju w Europie Środkowej i Nowe ścieżki rozwoju At Naęczów, Poland, 2017*. – pp.33-37.
61. Papava, V. (2016). Technological Backwardness – Global Reality and Expected Challenges for the World's Economy. GFSIS Expert Opinion, No. 70, Tbilisi: GFSIS.
62. Papava V., (1994). The Role of the State in the Modern Economic System. *Problems of Economic Transition*, Vol. 37, No. 5.
63. Papava V., Khaduri N. (1997). On the Shadow Political Economy of the Post-Communist Transformation. An Institutional Analysis. *Problems of Economic Transition*, Vol. 40, No. 6.
64. Petrenko V. (2010). The Paradigm of Constructivism in Humanitarian Sciences. *Methodology and History of Psychology*. 2010. V. 5. Issue 3, pp. 5-12.
65. Popkov V. (2016). Constructivism and Multiple Economic Theories. *Questions of Social Theory*. V.8, Issue 1-2 (In Russian).
66. Popper K. (1980). *The Logic of Scientific Discovery*.
67. Rooka, D., Salvatorip, A., Moylandb, J., Rosab, P., (2017). Innovation Patterns: Upgrading Sectorial Classification for the Fourth Industrial Revolution. *Kensho Technologies*.
68. Sepashvili E., (2016). Globalized World Economy, Innovations and National Policies for Economic Growth. *Governing Business Systems. Theories and Challenges for Systems Thinking in Practice*. BSLAB, p.174-176. http://bslab-symposium.net/Vilnius.2016/BSLab-Vilnius2016-e-book_of_Abstracts.pdf
69. Skrodzka, I. (2016). Knowledge-based economy in the European Union – Crosscountry analysis. *Statistics in Transition New Series*, 17(2), pp.281-294.
70. Smagina M. (2007). Social Constructivistic Paradigm in Social Knowledge as Alternative of Traditional Methodology. *Journal of Sociology and Social Anthropology*. V. X, № 2, pp. 73-84.
71. Sundać, D., Krmpotić, I.F. (2011). Knowledge economy factors and the development of knowledge-based economy. *Croatia Economic Survey*, 13(1), pp.105-141.
72. Tocan, M.C. (2012). Knowledge based economy assessment. *Knowledge Management*. Retrieved from <http://www.scientificpapers.org/knowledgemanagement/knowledge-based-economy-assessment/>.
73. Von Hippel, E. (2005). *Democratizing innovation*. Cambridge. MA: MIT Press.
74. White, D.S., Gunasekaran, A., and Ariguzo, G. (2012). *The structural components of a knowledge-based economy*. *International Journal of Business Innovation and Research*, 7(4), pp.504-518.
75. Wiener N., (1948). *Cybernetics: or Control and Communication in the Animal and the Machine*, MIT Press, Cambridge.
76. Алле М., (2004). *Основные направления моей работы*. М., Мысль.
77. Бир С.. (1963). *Кибернетика и управление производством*. М., Наука.
78. БлаугМ. (2008). *100 великих экономистов после Кейнса*. - СПб.:Экономическая школа.

79. ВебленТ.(2007). *Теория делового предприятия*. М., Дело.
80. ДрукерП.(2007). *Бизнес инновации*. М., «Вильямс».
81. Кобринский Н. , Майминас Е., Смирнов А., (1982). *Экономическая кибернетика*. М., Экономика.
82. Ланге О. (1968). *Введение в экономическую кибернетику*. М., Прогресс.
83. Лепский, В. (2015). *Экономическая кибернетика саморазвивающихся сред (кибернетика третьего порядка)*.
84. Макклелланд Д. (2007). *Мотивация человека*. СПб., Питер..
85. Матурана, У. (1996). Биология познания. *Язык и интеллект*. М., с. 95-142.
86. Матурана, У., Варела, Ф. (2001). *Древо познания*. М.
87. Папава В. (1992). «О некоторых проблемах экономической науки на современном этапе». *Вопросы экономики*, № 1.
88. Саймон Г. (1995). *Теория принятия решений в экономической теории и науке о поведении*. СПб., Экономика.
89. Светуньков, М., (2010). *Предпринимательство и инновации*. Ульяновск., УлГТУ.
90. ШумпетерЙ.А. (2007). *Теория экономического развития. Капитализм, социализм и демократия*. М., Эксмо.

CULTURE AS A FACTOR OF KNOWLEDGE ECONOMICS WITH PARADIGMATIC CHANGES IN SYSTEMIC INSTITUTIONAL CONTEXT

GIVI BEDIANASHVILI

Doctor of Economic Sciences, Professor,
European University,
Academician of the Academy of Economic Sciences of Georgia, Georgia
g.bedianashvili@eu.edu.ge

KEYWORDS: FORMATION OF KNOWLEDGE ECONOMY, CULTURE AS A FACTOR,
PARADIGMATIC ASPECTS OF ECONOMIC SCIENCE

SUMMARY

In modern conditions it is important to develop a systemic and institutional concept of culture as a form of knowledge economy. In order to present a systemic concept of knowledge and culture in the formation of knowledge economy, I think the new meaning of paradigmatic and conceptual aspects of economic science is of particular importance. In addition, the systematic representation of the cognition process is particularly important. As shown by the practice of recent years, the main problems in the form of knowledge technology are solved, which will facilitate the improvement of the "cognitive" function of economic science and enhance its practical benefits.

The modern stage of globalization is characterized by a number of specific peculiarities of post-dosystem development, which, in our view, is important to the development of knowledge-based economy (knowledge economy). It is

noteworthy that globalization stems from adding global dimensional dimensions to the knowledge economy, such as resource-technological, informative, communicative and institutional structures. In addition, we think it is necessary to understand the knowledge of the knowledge economy. This makes it possible to develop culture with knowledge as a factor of forming a knowledge economy.

According to the Postindustrial Theory, the main resource of the post-denser economy is information and knowledge, the main type of manufacturing activity is the high level of automation of the production, the science of technologies used primarily from the main technologies, and various services are the most common types of economic activity. In industrial society, the field of agriculture, industry - Industry, Postindustry - determinants are already theoretical knowledge with universities, as a place of active and generating knowledge.